საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსი: ქართული ენა A2_B1

ავტორი: სვეტლანა ბერიკაშვილი
ნესტან ეგეტაშვილი
ქეთევან ცინცაძე

სასწავლო კურსის სახელწოდება	ქართული ენა A2_B1
ავტორი	სვეტლანა ბერიკაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი. ბინის ტელ.: 2 72 21 05, მობ. 5 99 15 72 14. ელ-ფოსტა: svetlishka@yahoo.com ნესტან ეგეტაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი. ბინის ტელ.: 2 36 61 30, მობ. 5 99 98 10 56. ელ-ფოსტა: nestanege@yahoo.com ქეთევან ცინცაძე მობ. 5 77 24 88 48; ელ-ფოსტა: keti.tsintsadze@tsu.ge
სასწავლო კურსის მიზნები	სასწავლო კურსის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულ ენაში ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა ენის დამოუკიდებელი მომხმარებლის დონეზე (საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B1), რაც აუცილებელია იმისათვის, რომ ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შედეგად ჩარიცხულმა სტუდენტმა შეძლოს სწავლის გაგრძელება მისთვის სასურველ საბაკალავრო ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე. კურსის მიზანია ასევე ხელი შეუწყოს სრულფასოვანი მოქალაქის აღზრდას, რომელიც შეძლებს სამოქალაქო საზოგადოებაში ინტეგრაციას და საკუთარი წვლილის შეტანას მის განვითარებაში.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად	I სემესტრი – 12 კრედიტი საკონტაქტო საათების რაოდენობა - 180 სთ. ლექცია - 60 სთ. პრაქტიკული მეცადინეობა - 117 სთ. შუალედური შეფასება - 3 სთ. კონსულტაცია და დასკვნითი გამოცდა - 4 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა - 120 სთ. საათების რაოდენობა სულ 300 სთ.
დაშვების წინაპირობები	
სწავლის შედეგები	1. **ცოდნა და გაცნობიერება:** სწავლის შედეგად კურსდამთავრებული ფლობს ქართულ ენას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს B1 დონეზე:

	გაგება / მოსმენა: მას შეუძლია ნაცნობი თემატიკის მიხედვით ძირითადი საკითხების გაგება, ქართულად ჩატარებული ლექციის მოსმენა და გააზრება, შეუძლია ვიდეო და აუდიო მასალის, მხატვრული ფილმების გაგება (B1 დონით განსაზღვრული ლექსიკის ფარგლებში). **კომუნიკაცია / ლაპარაკი:** შეუძლია ძირითადი საკომუნიკაციო სიტუაციების დაძლევა ქართული ენის გარემოში, თავისუფლად შეუძლია ქართულენოვან პირთან კომუნიკაცია B1 დონით განსაზღვრული ლექსიკის ფარგლებში, აქვს უნარი გამოხატოს საკუთარი შეხედულება რომელიმე საკითხზე. **კითხვა:** სტუდენტს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს თანამედროვე საკითხებზე დაწერილი ტექსტები, სტატიები ინფორმაციისა და არგუმენტების მოპოვების მიზნით. **წერა:** სტუდენტს შეუძლია მარტივი გაბმული ტექსტების წერა, რომლებიც მისთვის ნაცნობ და საინტერესო საკითხებს ეხება, პირადი წერილების წერა, წერილობითი კომუნიკაცია ელექტრონული საშუალებებით. **2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:** სტუდენტს აქვს B1 დონის შესაბამისად ქართულ ენაზე კომუნიკაციის უნარი, შეუძლია ორიენტაცია ქართულენოვან გარემოში, კითხვების დასმა, მოსმენილის გაგება და ინტერპრეტაცია. **3. დასკვნის უნარი:** სტუდენტი იძენს დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ანალიზისა და სინთეზის უნარს, აქვს აუდიო-ვიზუალური მასალის აღქმა-გაგებისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი. **4. კომუნიკაციის უნარი:** სტუდენტს აქვს ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარი ქართულ ენაზე. შეუძლია ურთიერთობის დამყარება თანაკურსელებთან, ლექტორებთან, თანამოქალაქეებთან, რაც ხელს უწყობს მის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში. ასევე, მას შეუძლია ციფრული საინფორმაციო საშუალებების გამოყენება. **5. სწავლის უნარი:**

	აღნიშნული კურსის გავლის შემდეგ სტუდენტებს აქვთ პრაქტიკული დავალებების დამოუკიდებლად შესრულების, სასწავლო პროცესში დროის გადანაწილების, სამუშაო ჯგუფში გუნდური და ინდივიდუალური მუშაობის უნარი. ასევე შეეძლებათ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა და წერითი სამუშაოს შესრულება. **ღირებულებები** სტუდენტს შეუძლია ქართული ღირებულებების გაცნობა და პატივისცემა, აქვს სხვადასხვა კულტურის მიმართ ურთიერთპატივისცემისა და ტოლერანტობის შეგრძნება.
შინაარსი	**I კვირა – ლექცია 4 სთ.** 1. **თემა - ჩემი ქართველი მეგობარი** **ლექსიკა:** ნათესავები; გაცნობა; სტუდენტური ცხოვრება. **გრამატიკა:** კუთვნილება; რთული სიტყვები; ნათესაობითი ბრუნვა; -დან -მდე თანდებულები. ***უნარები*** **მოსმენა:**ურთიერთწარდგენა **კითხვა:** სკაიპის მეგობრები – ანა და ნიკი **ლაპარაკი:** პიროვნების მონაცემები **წერა:** ჩემ შესახებ 2. **ცოტა რამ საქართველოს შესახებ** **ლექსიკა:** გარემო. **გრამატიკა:** მოქმედებითი ბრუნვა; ზომა-ოდენობა. ***უნარები*** **მოსმენა:** უცხოელი საქართველოში **კითხვა:** საქართველოს ბუნება პირადი წერილი **ლაპარაკი:** ქვეყნის აღწერა **წერა:** საქართველოს ქალაქები **ლიტერატურა:** ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, გვ. 4-17. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა:** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება. **დავალება**: მოიძიონ youtube-ში მოკლე (2-5 წთ.) ვიდეო საქართველოს შესახებ.

	II კვირა – ლექცია 4 სთ. 1. **თემა - როგორ ცხოვრობენ საქართველოში** **ლექსიკა:** სახლი. **გრამატიკა:** მსაზღვრელ-საზღვრული; დროის გამოხატვა. ***უნარები*** **მოსმენა:** დაბადების დღეზე **კითხვა:** შეხვედრა ოჯახის ნათესავები **ლაპარაკი:** შაბათ-კვირა **წერა:** ჩემი დიდი ოჯახი 2. **ჩვენი ნაცნობები** **ლექსიკა:** პროფესიები **გრამატიკა:** რიგობითი რიცხვითი სახელები; ნაწილაკიანი ფორმები, -ვე ნაწილაკი. ***უნარები*** **მოსმენა:** საუბარი ტელეფონით **კითხვა:** ძველი მეგობრები; ოჯახის შესახებ **ლაპარაკი:** საუბარი ნაცნობების შესახებ **წერა:** ჩემი ნაცნობები **ლიტერატურა:** ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, გვ. 18-33. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება. **III კვირა – ლექცია 4 სთ.** 1. **თემა - უცხოელი სტუმარი თბილისში** **ლექსიკა:** ქალაქის აღწერა. **გრამატიკა:** ხარისხის ფორმები; განუსაზღვრელი ნაცვალსახელი; -მე ნაწილაკი. **უნარები:** **მოსმენა:** თბილისის დათვალიერება; **კითხვა:** მეგობრები თბილისის შესახებ; **ლაპარაკი:** თქვენი ქალაქის შესახებ; **წერა:** ჩემი ქალაქი. 2. **ჩემი ერთი დღე** **ლექსიკა:** სამზარეულოს ნივთები **გრამატიკა:** შედარებითი ხარისხი **უნარები:**

	მოსმენა: საყიდლებზე; **კითხვა:** ჩვენი დილა; ნინის შესახებ; **ლაპარაკი:** ყოველდღიური ცხოვრება; **წერა:** ჩემი ერთი დღე. **ლიტერატურა:** ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, გვ. 34-49. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, სიტუაციური თამაში. **დავალება**: ბინის აღწერის დაწერა. **IV კვირა – ლექცია 4 სთ.** **1. თემა - შაბათ-კვირა** **ლექსიკა:** ხილი და ბოსტნეული **გრამატიკა:** კავშირებითი კილო; -ობით დაბოლოება; იმიტომ, რომ; ხან-ხან, ან-ან, არც-არც კავშირები **უნარები:** **მოსმენა:** ქალაქგარეთ **კითხვა:** ბაზარში; ინფორმაცია ლევანისა და თამარის ოჯახის შესახებ **ლაპარაკი:** თქვენი შაბათ-კვირა **წერა:** შაბათ-კვირის შესახებ. **2. ბანკი** **ლექსიკა:** საბანკო მომსახურება **გრამატიკა:** დანიშნულების სახელები: სა-ო შესახებ, მიმართ, გამო თანდებულები **უნარები:** **მოსმენა:** ბანკის მომსახურება **კითხვა:** ბანკში, თიბისი ბანკი **ლაპარაკი:** ბანკში **წერა:** ჩემი ბანკი **ლიტერატურა:** ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, გვ. 50-78. **პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, შუალედურისათვის მოსამზადებელი ტესტის დაწერა (შავთვალაძე,

	ბილიკი, გვ. 46-50). **I წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.** **V კვირა – ლექცია 4 სთ.** **1. თემა - ჯანმრთელობა** **ლექსიკა:** სხეულის ნაწილები **გრამატიკა:** კავშირებითი კილო; მინდა, უნდა, შეიძლება. **უნარები:** **მოსმენა:** აფთიაქში **კითხვა:** კლინიკაში / ექიმთან; თანამედროვე მედიცინა საქართველოში **ლაპარაკი:** ჯანმრთელობა **წერა:** საუკეთესო კლინიკა **2. ყველაფერი ახალი ბინისათვის** **ლექსიკა:** ავეჯი; სახლის ტექნიკა; ფერები **გრამატიკა:** ბრძანებითი კილო; კუმშვადი სახელები **უნარები:** **მოსმენა:** ტექნიკის ყიდვა **კითხვა:** მეგობრები ავეჯის მაღაზიაში; ახალი ოჯახი ახალ ბინაში **ლაპარაკი:** საუბარი ავეჯის შესახებ **წერა:** ავეჯის სალონში **ლიტერატურა:** ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, გვ. 79-95. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება. **VI კვირა – ლექცია 4 სთ.** **1. თემა - ღვინის ფესტივალზე** **ლექსიკა:** სასმელები **გრამატიკა:** ზედსართავი სახელის ოდნაობითი ხარისხის ფორმა; ადგილმდებარეობის გამოხატვა **უნარები:** **მოსმენა:** ღვინის ფესტივალზე **კითხვა:** ქართული ღვინის ფესტივალი **ლაპარაკი:** ქართული ღვინის შესახებ **წერა:** ადგილმდებარეობის აღწერა

	2. **სტუმრად ქართულ ოჯახში** **ლექსიკა:** საჭმელი; სუფრის კერძები **გრამატიკა:** კუმშვადი ფუძეები; მსგავსებითი შედარება; წარსული დროის ფორმები. **უნარები:** **მოსმენა:** გელათის მონასტერში **კითხვა:** სტუმრად ქუთაისში; ქუთაისის შესახებ; გელათის აკადემია **ლაპარაკი:** ეროვნული სამზარეულო **წერა:** სუფრასთან **ლიტერატურა:** ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, გვ. 96- 115. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი. **დავალება**: მოიძიონ youtube-ში მოკლე (2-5 წთ.) ვიდეო საქართველოს რომელიმე მუზეუმის შესახებ. **VII კვირა – ლექცია 4 სთ.** 1. **თემა - დამზადებულია საქართველოში** **ლექსიკა:** პროდუქტთან დაკავშირებული ლექსიკა; ექსპორტი; იმპორტი; ეტიკეტის წაკითხვა. **გრამატიკა:** ა- აფიქსის ფუნქცია -ებს დაბოლოების მქონე აქტიურ ზმნებთან; -დ სუფიქსის ფუნქცია ვნებითი გვარის ზმნებთან; დანიშნულების სახელები; წარსული დროის მიმღეობა; „მიერ“ თანდებული. **უნარები:** **მოსმენა:** მოკლე საინფორმაციო ტექსტის დეტალურად გაგება. **კითხვა:** შემსწავლელს შეუძლია სუპერმარკეტის ფლაიერის საინფორმაციო ტექსტიდან მნიშნველოვანი ინფორმაციის გაგება; შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს საკვების შეფუთვაზე დაწერილი ინფორმაცია (საკვების შემადგენლობა, დამზადების თარიღი, ვადა...). **ლაპარაკი:** შემსწავლელს შეუძლია გადმოსცეს და მარტივად დაასაბუთოს საკუთარი მოსაზრებები მისთვის ნაცნობ ან საინტერესო საკითხზე. **წერა:** შემსწავლელს შეუძლია ვებგვერდზე / სოციალურ ქსელებში განთავსებულ საინტერესო განცხადებაზე რეაგირება, დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა. 2. **საგანგებო სიტუაციები**

	ლექსიკა: საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი ლექსიკა; ოპერატორთან და პოლიციელთან საუბრის დროს გამოსაყენებელი ფრაზები; **გრამატიკა:** „ხომ“ ნაწილაკის გამოყენება თავაზიან შეკითხვაში; კონსტრუქციები ფრაზებით: „აუცილებელია“ + საწყისი / მეორე კავშირებითი ინსტრუქციის ფრაზებში; შესასრულებელი მოქმედების გამომხატველი მიმღეობის წარმოება. **უნარები:** **მოსმენა:** შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მშობლიურენოვანი მოსაუბრის მარტივი მითითებები; შემსწავლელს შეუძლია გაიგოს თანამოსაუბრესთან მარტივი სატელეფონო საუბარი. **კითხვა:** შემსწავლელს შეუძლია ადვილად მისახვედრი ინფორმაციის მოძიება ვებგვერდზე და მისი ძირითადი არსის გაგება; შემსწავლელს შეუძლია წაიკითხოს და სრულყოფილად გაიგოს ისეთი მარტივი ტექსტი; რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემასთან დაკავშირებით; შემსწავლელს შეუძლია ინსტრუქციის შემცველი ტექსტის გაგება. **ლაპარაკი:** შემსწავლელს შეუძლია გამართოს მარტივი სატელეფონო საუბარი; შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით აღწეროს შემთხვევის დეტალები და ნივთი. წერა: შემსწავლელს შეუძლია ინსტრუქციის შემუშავება. **ლიტერატურა:** თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ A2+, გვ.3-25. **პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, სიტუაციური თამაში. **დავალება**: ერთი დღის აღწერის დაწერა. **II წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.** **VIII კვირა – ლექცია 4 სთ.** 1. **თემა - მოგზაურობა** **ლექსიკა:** მოგზაურობასთან დაკავშირებული ლექსიკა; კლიმატი; ტურისტული კომპანიები; სასტუმროები. **გრამატიკა:** ხოლმე ნაწილაკი; სიხშირის გამომხატველი ზმნიზედები; ბრძანებითის ფორმა სამარშრუტო გზის აღწერისას; ვედ-ძირიანი ზმნების ბრძანებითი. **უნარები:** **მოსმენა:** შემსწავლელს შეუძლია ტრანსპორტისა და

	გადაადგილების თემაზე მარტივი დიალოგების გაგება (მაგ., ტაქსის გაჩერება და მძღოლთან საუბარი, მიმართულების ახსნა). **კითხვა:** შემსწავლელს შეუძლია იპოვოს სპეციფიკური, წინასწარ სავარაუდო ინფორმაცია ისეთ მარტივ ტექსტებში, როგორებიცაა: სარეკლამო პუბლიკაცია, ფლაერი, განცხადება; შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰავის შესახებ მოკლე საინფორმაციო ენციკლოპედიური ხასიათის ტექსტიდან. **ლაპარაკი:** შემსწავლელს შეუძლია ითხოვოს დახმარება დანიშნულების ადგილზე მისასვლელად, ან თანამოსაუბრეს მიასწავლოს გზა. **წერა:** შემსწავლელს შეუძლია მიმართოს შეკითხვით და მისწეროს ოფიციალური წერილი სასტუმროს ადმინისტრაციას დამატებითი ინფორმაციის გაგების მიზნით. 2. **სოციალური ქსელები, მედია** **ლექსიკა:** სოციალური ქსელების ლექსიკა (გადმოქართულებული ინტერნაციონალური ერთეულები). **გრამატიკა:** მომავალი დრო (გამეორება); „ვეღარ“ ნაწილაკი; კონსტრუქციები: მიყვარს + სახელი/მიყვარს + სახელზმნა /მიყვარს + სახელი + სახელზმნა; „ხომ“ დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციით. **უნარები:** **მოსმენა:** შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტიდან ძირითადი ინფორმაცია იმ თემების შესახებ, რომლებიც მას აინტერესებს; შემსწავლელს შეუძლია გაიგოს საუბარი, რომელიც ეხება რაიმე ნივთის ფერს, ზომას, წონას, მოცულობას. **კითხვა:** შემსწავლელს შეუძლია მისთვის საინტერესო ან საყოფაცხოვრებო თემებზე თხრობითი ხასიათის მცირე ზომის, მარტივი ტექსტის (ბლოგის ჩანაწერის) ძირითადი შინაარსისა და მნიშვნელოვანი დეტალების გაგება. **ლაპარაკი:** შემსწავლელს შეუძლია მარტივი სიტყვებით გადმოსცეს საკუთარი ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, გამოხატოს ემოციები. **წერა:** შემსწავლელს შეუძლია მოკლე წინადადებებით დაწეროს, თუ რა უყვარს/მოსწონს..., არ უყვარს/არ მოსწონს ყველაზე მეტად; შემსწავლელს შეუძლია პირადი ხასიათის/ყოველდღიურობასთან დაკავშირებული მოკლე ინფორმაციის განთავსება სოციალურ ქსელში. **ლიტერატურა:** თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ A2+, გვ 26-50.

	პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ. **ფორმა -** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, შუალედურისათვის მოსამზადებელი ტესტის დაწერა. **შუალედური გამოცდა - 2 სთ.** **IX კვირა – ლექცია 4 სთ.** 1. **თემა - თეატრი, კინო** **ლექსიკა:** ფილმის შინაარსის (ამბის) მოსაყოლად საჭირო მასტრუქტურირებელი ფრაზები. **გრამატიკა:** მეორე კავშირებითი ქმედებისადმი მოწოდების ფუნქციით; წყვეტილში -ე დაბოლოების მქონე ზმნების მეორე კავშირებითის ფორმის წარმოება. **უნარები:** **მოსმენა:** შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მოკლე ტექსტის ძირითადი ინფორმაცია მისთვის საინტერესო თემების შესახებ; შემსწავლელს შეუძლია ფილმის ან სპექტაკლის ანონსიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაგება. **კითხვა:** შემსწავლელს შეუძლია გაიგოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფილმის ან სპექტაკლის შესახებ ვებგვერდზე განთავსებული ვრცელი ანონსიდან (ფილმის მოკლე შინაარსით). **ლაპარაკი:** შემსწავლელს შეუძლია მარტივი ფრაზებით ისაუბროს მისთვის საყვარელ ფილმსა თუ სპექტაკლზე, მსახიობსა და რეჟისორზე. **წერა:** შემსწავლელს შეუძლია დაწეროს ნანახი ფილმის ან სპექტაკლის მოკლე შინაარსი მარტივი ფრაზებით. 2. **უცხოელები და საქართველო** **ლექსიკა:** უცხო ენის სწავლასთან დაკავშირებული ლექსიკა. **გრამატიკა:** მიზეზის ახსნა (კონსტრუქცია „იმიტომ, რომ“); საპირისპირო აზრის გადმოცემა კავშირით „მაგრამ“; ირიბი ნათქვამი -ო ნაწილაკით. **უნარები:** **მოსმენა:** შემსწავლელს შეუძლია გაიგოს ტელე- და რადიოგადაცემების მთავარი არსი, თუ ისინი ეხება მისთვის ნაცნობ თემებს. **კითხვა:** შემსწავლელს შეუძლია ჟურნალ-გაზეთებსა თუ

	ინტერნეტში მოიპოვოს მისთვის საინტერესო მარტივი ინფორმაცია და გაიგოს მისი მთავარი აზრი. **ლაპარაკი:** შემსწავლელს შეუძლია სხვებს მოუყვეს იმის შესახებ, თუ რომელ ენებს ფლობს, როგორ და რატომ ისწავლა ესა თუ ის ენა. მას შეუძლია უპასუხოს ამ თვალსაზრისით მისთვის დასმულ შეკითხვებს. მას თავადაც შეუძლია სხვას ჰკითხოს ანალოგიური ინფორმაცია. **წერა:** შემსწავლელს შეუძლია ნაცნობი თემების შესახებ მარტივი ტექსტების შედგენა, საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება, მარტივი ისტორიის მოყოლა. **ლიტერატურა:** თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ A2+, გვ 51-71. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა -** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება. **X კვირა – ლექცია 4 სთ.** **თემა -** 1. **ბიოგრაფია** ***ლექსიკა*** (ავტო) ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ზმნები: დავიბადე, ჩააბარა, დავამთავრე, ვმუშაობდი... კინოსთან დაკავშირებული ლექსიკა; სიტყვათწარმოება: სი- -ე აფიქსები; ლექსიკური ერთეულები არასალიტერატურო ენიდან. ***გრამატიკა*** წყვეტილის წარმოება; უწყვეტლის გამეორება-განმტკიცება; მიცემითი მსაზღვრელ-საზღვრულთან ადგილმდებარეობა: ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის 7 ნომერში; დროის გარემოება: 19 მარტს, 2002 წელს; რიგობითი რიცხვითი სახელები მიცემით ბრუნვაში — გამეორება-განმტკიცება და მართლწერის სწავლა ბიოგრაფიაში (მე-3, 24-ე...). ***უნარები*** **მოსმენა:** სალიტერატურო ენით, ნელა და გარკვევით წარმართული ტელეგადაცემის (ინტერვიუს) დედააზრისა და მნიშვნელოვანი დეტალების გაგება. ბიოგრაფიიდან მოკლე ისტორიის არსის გაგება და ვარაუდის გამოთქმა ისტორიის დასასრულის შესახებ. **კითხვა:** მხატვრული ავტობიოგრაფიული ტექსტიდან კონკრეტული ინფორმაციის ამოკითხვა. **ლაპარაკი:** ინტერვიუს აღება და მიცემა ბიოგრაფიულ მონაცემებზე. პრეზენტაციის მომზადება ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიაზე. **წერა:** ავტობიოგრაფიის და რეზიუმეს დაწერა. 2. **სამოტივაციო წერილები და გასაუბრება**

	ლექსიკა სამუშაოს ძებნასთან დაკავშირებული ლექსიკა: ვაკანსიები, სამოტივაციო წერილი, გასაუბრება; პიროვნული თვისებები და პროფესიული უნარ-ჩვევები; სამოტივაციო წერილის წერისას გამოსაყენებელი მიმართვის ზრდილობიანი ფორმები. *გრამატიკა* მეორე კავშირებითის მწკრივის ფორმების გამოყენება: სასურველი მოქმედება აუცილებელი მოქმედება; მეორე კავშირებითის მწკრივის წარმოება. *უნარები* **მოსმენა:** სამსახურის თაობაზე გასაუბრების შინაარსის გაგება. **კითხვა:** ვაკანსიის განცხადების გაგება, სამოტივაციო წერილის დაწერისთვის ტექსტის გაგება. სამოტივაციო წერილის სტრუქტურირება. **ლაპარაკი:** საკუთარ თავზე ბიოგრაფიული მონაცემების მიწოდება, ინტერაქცია გასაუბრებაზე(მაგ. სამსახურის თაობაზე ინტერვიუს დროს). **წერა:** სამოტივაციო წერილის დაწერა. სამოტივაციო წერილის სტრუქტურირება. ლიტერატურა: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, გვ. 3- 31. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, როლური თამაში, კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი. **XI კვირა – ლექცია 4 სთ.** **თემა -** 1. **პროფესიები** *ლექსიკა* პროფესიების დასახელებები; ფაკულტეტების სახელწოდებები; ცალკეული პროფესიების აღსაწერად საჭირო ზედსართავი სახელები. *გრამატიკა* სიტყვათწარმოების აფიქსები (პროფესიის, დარგის, დანიშნულების სახელებში): სა-ო, უ - ო; პირობითი წინადადებების კონსტრუქცია: რომ არ ყოფილიყო / რომ ვყოფილიყავი, ... იქნებოდა / ვიქნებოდი / გავაკეთებდი...; კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელი, კონსტრუქცია "ის, ვინც …". *უნარები* **მოსმენა:** სალიტერატურო ენით, გარკვევით წარმოთქმული

	სატელევიზიო საინფორმაციო ტექსტის დედააზრის და მნიშვნელოვანი დეტალების გაგება პროფესიების თემაზე. **კითხვა:** ინტერვიუ ადვოკატთან მისი პროფესიის შესახებ. სტატია ფეხბურთელების შესახებ. **ლაპარაკი:** არგუმენტირებული დისკუსია ადვოკატის პროფესიის დადებით და უარყოფით მხარეებზე, დისკუსია ნაკლებად მოთხოვნადი პროფესიების შესახებ. **წერა:** სასურველი გაკვეთილის აღწერა. სტატია ფეხბურთელების შესახებ. 2. **მოგზაურობა** *ლექსიკა* ალპინიზმთან დაკავშირებული აღნიშვნები რუკაზე; სამოგზაურო აღჭურვილობა; მოგზაურის დღიურის წარმოებასთან დაკავშირებული ლექსიკა. *გრამატიკა* მეორე კავშირებითი; "უნდა" ზმნა აუცილებლობის კონტექსტში; დონიანი და უნიშნო ვნებითი; წარსული დროის მიმღეობა (ული/ილი); ბრძანებითი (გამეორება-გაღრმავება); დანიშნულების სახელების წარმოება (სა-...-ი, სა-...-ო, სა-...-ე). *უნარები* **მოსმენა:** ინტერვიუს გაგება ალპინიზმის თემაზე. **კითხვა:** ინსტრუქციების გაგება მთამსვლელობის თემაზე (ალპინისტისთვის ინსტრქუციები,კარვის გაშლის ინსტრუქციები), ლაშქრობის შესახებ დაწერილ ტექსტში ძირითადი ინფორმაციის გაგება. **ლაპარაკი:** რჩევის მიცემა, როგორ დაისვენოს მეგობარმა. **წერა:** საკუთარი მოგზაურობის აღწერა ლიტერატურა: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, გვ. 32-59. **პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება. **III წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.** **XII კვირა – ლექცია 4 სთ.** **თემა -** 1. **სპორტი** *ლექსიკა* სპორტის სახეობები და მათი კლასიფიკაცია; სპორტის ტრადიციული სახეობები და მათთან დაკავშირებული ლექსიკა; ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებული სიმბოლოები, პერსონაჟები

	და ადგილები. *გრამატიკა* ანუ კავშირი; პირობითი წინადადებების ორი ტიპი: თუ კავშირით ის, ვინც/რომელიც კონსტრუქციით. *უნარები* **მოსმენა:** ფრისბიზე ინტერვიუდან ამ სპორტის შესახებ დეტალური ინფორმაციის გაგება. **კითხვა:** სპორტის თემაზე დაწერილი ტექსტების ძირითადი მნიშვნელობის და ცალკეული დეტალების გაგება. **ლაპარაკი:** მსჯელობა-დისკუსია სპორტის სახეობების შესახებ. **წერა:** სპორტული თამაშების წესების ჩამოყალიბება. **2. თავისუფალი დრო** *ლექსიკა* დროსთან დაკავშირებული იდიომატური გამოთქმები; ფოტოგრაფიასთან დაკავშირებული ლექსიკა; გართობის ტიპები და სახეობები. *გრამატიკა* გამო; მიზნით; ქონა-ყოლის სახელები (ული/ური - გამეორება-გაღრმავება, -იანი); უქონლობის სახელები (უ .... ო, არა....); რთული ქვეწყობილი წინადადება, მაკავშირებელი სიტყვა "რომელიც". *უნარები* **მოსმენა:** ფოტოგრაფიის თემაზე გადაცემის ძირითადი აზრის გაგება, კულტურულ ღონისძიებებთან დაკავშირებული აქციის შესახებ ტელეგადაცემიდან ცალკეული ინფორმაციის გაგება. **კითხვა:** თავისუფალი დროის და ფოტოგრაფიის თემაზე მცირე ზომის ტექსტის, ღონისძიების პროგრამის გაგება. **ლაპარაკი:** საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა ფოტოგრაფიის მიმართ; დისკუსია სტუდენტურ პრობლემებზე. **წერა:** საკუთარი დამოკიდებულების გადმოცემა ფოტოგრაფიის მიმართ; ამბის ლოგიკურად გაგრძელება; მოკლე საინფორმაციო ტექსტის შექმნა. ლიტერატურა: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, გვ. 60-85. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, ტესტი. **XIII კვირა – ლექცია 4 სთ.** **თემა -**

	1. **თბილისი და ქალაქში გადაადგილება** *ლექსიკა* თბილისის უბნების სახელწოდებები; ქალაქის, უბნის აღსაწერად საჭირო ლექსიკა; ტრანსპორტის სახელწოდებები; მიმართულებასთან და გადაადგილებასთან დაკავშირებული ზმნები და გამოთქმები. *გრამატიკა* მაქვემდებარებელი კავშირები: რაც, რომელიც, სადაც, როდესაც, ისეთი, როგორიც; კუმშვა-კვეცა წარმომავლობის სახელებთან (ან, არ, ა): უბნელი, ავლაბრელი, ვერელი, დიღმელი მიმართულება: -ისკენ. *უნარები* **მოსმენა:** სიმღერიდან ცალკეული ინფორმაციის გაგება; ყოფით სიტუაციებში (ტაქსით ქალაქში გადაადგილება) გამართული დიალოგის ძირითადი დეტალების გაგება. **კითხვა:** ჟურნალის სტატიიდან (თბილისის უბნის შესახებ) და საინფორმაციო ტექსტიდან (ტრანსპორტის შესახებ) მნიშვნელოვანი დეტალების გაგება. **ლაპარაკი:** ღვედის შეკვრის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტების მოყვანა, დისკუსიის გამართვა. **წერა:** საგნებისა და მოვლენების აღწერა მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების წინ წამოწევით (სატრანსპორტო საშუალებები, ქალაქის უბნები). საკუთარი აზრის დასაბუთება.
	2. **საყიდლები** *ლექსიკა* ონლაინშოპინგის თემასთან დაკავშირებული ლექსიკა; ონეომანიასთან დაკავშირებული ლექსიკა; საბანკო განვადების თემასთან დაკავშირებული ლექსიკა. *გრამატიკა* მომავალი დროის წარმოება; წართქმითი და უკუთქმითი ბრძანებითი; “უნდა” ზმნური ნაწილაკის გამოყენება მითითების, რჩევის , ინსტრუქციის კონტექსტში. *უნარები* **მოსმენა:** მაღაზიაში ცოლ-ქმრის დიალოგის გაგება; ონლაინშოპინგის შესახებ რეკლამის დეტალური გაგება. **კითხვა:** ონეომანიის და ინტერნეტვაჭრობის შესახებ ტექსტის მთავარი აზრის გაგება; განვადების შესახებ ინფორმაციული ხასიათის ტექსტის დეტალების გაგება. **ლაპარაკი:** საყიდლების თაობაზე რჩევის მიცემა და არგუმენტირება; ონლაინვაჭრობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ დისკუსიის გამართვა, საკუთარი შეხედულების არგუმენტირება.

	წერა: საყიდლების თაობაზე რჩევის მიცემა და საკუთარი აზრის არგუმენტირება; ონლაინვაჭრობის დადებითი და უარყოფითი მხარეების აღწერა, საკუთარი მოსაზრების გადმოცემა და დასაბუთება; ონლაინშეკვეთის განხორციელება. ლიტერატურა: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, გვ. 86-113. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა -** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება. **დავალება:** ქალაქში ან ინტერნეტში აბრების, საგზაო ნიშნების მოძიება და მათი აღწერა. **XIV კვირა – ლექცია 4 სთ.** **თემა -** **1. მომხმარებლები და გადასახადები** ***ლექსიკა*** გადასახადების ლექსიკა; საჩივრის წერილის ლექსიკა. ***გრამატიკა*** უპირო კონსტრუქციები შედგენილი შემასმენლით; სუბიექტის ბრუნვა -ენიანი ვნებითის ფორმებთან; ორცნებიანი კომპოზიტები. ***უნარები*** **მოსმენა:** ყოფითი დიალოგის გაგება გადასახადების თემაზე; ტარიფის ზრდისა და მისი მიზეზების შესახებ საინფორმაციო გადაცემიდან ნაწყვეტის გაგება. **კითხვა:** ინტერნეტის მოხმარების შესახებ დიაგრამების გაგება; მხატვრული ნაწარმოებიდან ნაწყვეტის გაგება. **ლაპარაკი:** დისკუსია მხატვრული ნაწარმოებიდან ნაწყვეტის მიხედვით; პრეზენტაცია / მონოლოგი ინტერნეტის მოხმარების შესახებ. **წერა:** გადასახადების თემაზე ამბის ლოგიკური დასასრულის დაწერა; გამოხმაურება სოციალურ ქსელში და უკმაყოფილების გამოხატვა; საჩივრის წერილის დაწერა. **2. კვება** ***ლექსიკა*** კვებასთან დაკავშირებული ფრაზები და გამოთქმები; ინგრედიენტები და მათი რაოდენობა; ტრადიციული სუნელების დასახელება. ***გრამატიკა*** წარსული დროის მიმღეობის წარმოება; კულინარიასთან დაკავშირებული ზმნები.

	უნარები **მოსმენა:** სვანური ტრადიციული კერძები; ყოფითი დიალოგი სტუმარმასპინძლობის თემაზე; ვიდეორეცეპტი. **კითხვა:** მიმოხილვითი სტატია ქართული რესტორნების შესახებ; საცნობარო ტიპის ტექსტებიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრეფა; ნაწყვეტი ლიტერატურული ტექსტიდან. **ლაპარაკი:** საკუთარი აზრის გამოთქმა ქართული სამზარეულოს შესახებ; საუბარი საყვარელი კერძისა და რესტორნის შესახებ. **წერა:** ეროვნული კერძის რეცეპტი; მოსაზრების, დამოკიდებულების გამოხატვა ქართული სამზარეულოს მიმართ. ლიტერატურა: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, გვ. 114-144. **პრაქტიკული მეცადინეობა – 6 სთ.** **ფორმა** - მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, როლური თამაში. **IV წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 2 სთ.** **XV კვირა – ლექცია 4 სთ.** **თემა -** 1. **სწორი კვება და ჯანმრთელობა** *ლექსიკა* ჯანსაღ კვებასთან დაკავშირებული ლექსიკა; ჯანმრთელობის დარღვევასთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები; თანამიმდევრული ტექსტის ასაგებად (არგუმენტირებისთვის) საჭირო დროით-სივრცული სიტყვები. *გრამატიკა* მეორე კავშირებითის წარმოების შეჯამება / გამეორება. *უნარები* **მოსმენა:** ყოფითი დიალოგი ჯანსაღი საკვებისა და პროდუქტების შესახებ; დიეტის თემაზე ტელესიუჟეტის მოსმენა, რეკომენდაციების გაგება. **კითხვა:** ბლოგი ჯანსაღი კვების შესახებ; საინფორმაციო-პოპულარული სტატია რეკომენდაციებით სწორი კვების შესახებ. **ლაპარაკი:** სწრაფ კვებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების გამოთქმა და დასაბუთება; დიეტასთან და სწორ კვებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა. **წერა:** საკუთარი გამოცდილების აღწერა, შთაბეჭდილების გადმოცემა; საკუთარი აზრის არგუმენტირება.

	2. კავკასია *ლექსიკა* გეოგრაფიული ადგილის აღსაწერი ლექსიკა; კავკასიის შემადგენელი ტერიტორიების სახელწოდებები; ცალკეული დიალექტური ფორმები. *გრამატიკა* პირველი თურმეობითის მესამე პირის ფორმები. *უნარები* **მოსმენა:** ქართული მხატვრული ფილმის ნაწყვეტიდან ძირითადი შინაარსის გაგება; სასწავლო სიტუაციაში (უნივერსიტეტში) ლექტორთან კომუნიკაციის გაგება. **კითხვა:** გეოგრაფიული ხასიათის საინფორმაციო ტექსტის გაგება; კავკასიისა და კავკასიელების შესახებ რომანის ნაწყვეტის გაგება; ბლოგის ჩანაწერი ქართველი ქისტების თემაზე. **ლაპარაკი:** ქართულ ოჯახში სტუმრობის გამოცდილების აღწერა; კავკასიური და საკუთარი ეროვნული სამოსის აღწერა. **წერა:** სტუმარმასპინძლობის თემაზე საკუთარი გამოცდილების წერილობით გადმოცემა; საკუთარი და სხვა კულტურების წარმომადგენელთა დახასიათება; ლეგენდის წერილობით გადმოცემა. ლიტერატურა: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, გვ. 145-170. **პრაქტიკული მეცადინეობა – 8 სთ.** **ფორმა -** მასალის გამოკითხვა, სავარჯიშოების შესრულება, გავლილი მასალის გამეორება. **XVI – XVIII კვირა - კონსულტაცია და დასკვნითი გამოცდა - 3 სთ.**
სწავლების ფორმატი	კურსი გრძელდება 1 სემესტრის მანძილზე (18 კვირა). აქედან 15 კვირა მოიცავს სწავლა-სწავლებისა და შუალედური შეფასების პროცესს; 3 კვირა – დასკვნითი გამოცდისთვის მომზადება და ჩაბარება.
სწავლების/სწავლის მეთოდები	სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია და პრაქტიკული მეცადინეობა.
სწავლება/სწავლის მეთოდების აქტივობები	ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მეთოდი, ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, აუდიო-ლინგვისტური მეთოდი, გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, საინფორმაციო რესურსებთან მუშაობის მეთოდი.
	100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო

შეფასების კრიტერიუმები	შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვება, რომელიც საერთოა მთელი უნივერსიტეტისათვის. **შეფასების სისტემა შემდეგნაირია:** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი დასკვნით გამოცდაზე დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სემესტრის განმავლობაში, შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვებს მინიმალური კომპეტენციის ზღვრით განსაზღვრულ (ან მეტ) ქულას. იმისათვის, რომ სტუდენტი დაშვებულ იქნას დასკვნით გამოცდაზე, კომპონენტებში (60 ქულიდან) სავალდებულოა მინიმუმ 25 ქულის მიღება. **შეფასების კომპონენტები:** **აქტიურობა პრაქტიკულ მეცადინეობაზე - 20 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 8 ქულით); **4 წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა - 20 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 2 (ჯამში 8) ქულით); **შუალედური გამოცდა - 20 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 9 ქულით); **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა** (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება 16 ქულით). ● **აქტიურობა - 20 ქულა** სემინარული აქტივობას ეთმობა 80 საათი. თითოეული აქტივობა ფასდება 0.25 ქულით, ჯამურად სემინარული აქტივობა იკავებს 20 ქულას. სტუდენტი იღებს შეფასებას, როდესაც ჩართულია სასემინარო პროცესში, კითხვა პასუხის რეჟიმში წარმოაჩენს მასალის

	ცოდნას. **წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა** (თითოეული ასეთი გამოკითხვის მაქსიმალური შეფასება შეადგენს 5 ქულას, ტარდება სემესტრში 4-ჯერ (ჯამში ეთმობა 8 საათი). გამოკითხვა კომბინირებული ხასიათისაა წერითი (25 %) და ზეპირი (15 %). ცოდნის შემოწმება ხდება კითხვარით, რომელიც მოიცავს 20 (დახურული კითხვების შემთხვევაში) და 10 (ღია კითხვების შემთხვევაში) კითხვას. *დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:* - პასუხი სწორია - 0.25 ქულა - პასუხი არასწორია - 0 ქულა *ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი:* - პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 1 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 0,5 ქულა - პასუხი არასწორია 0 ქულა **შუალედური გამოცდა - 20 ქულა:** ჩატარდება წერის სახით. *დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:* - პასუხი სწორია - 1 ქულა - პასუხი არასწორია - 0 ქულა *ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი:* - პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 2 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 1,5 ქულა - პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია - 1 ქულა - პასუხი ფრაგმენტულია - 0,5 ქულა - პასუხი არასწორია 0 ქულა • **დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა:** გამოცდა იქნება კომბინიებული ხასიათის - წერითი (30 ქულა) და ზეპირი (10 ქულა). წერითი სახით სტუდენტები პასუხს გასცემენ 25 კითხვას გავლილი მასალიდან და დაწერენ ესეს. საგამოცდო ტესტის თითოეული კითხვა შეფასდება 1, ხოლო ესე - 5 ქულით. ***დახურული კითხვების შეფასების კრიტერიუმი:*** - პასუხი სწორია - 1 ქულა - პასუხი არასწორია - 0 ქულა

	ღია კითხვების შეფასების კრიტერიუმი: - პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია - 1 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ არა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია - 0,5 ქულა - პასუხი არასწორია 0 ქულა *ესეს შეფასების კრიტერიუმი:* 5 ქულა - შინაარსი კარგად არის გადმოცემული; სტილისტურად ნაწერი გამართულია; სტუდენტს არ აქვს დაშვებული შეცდომა; 4 ქულა - შინაარსი კარგადაა გადმოცემული; სტილისტურად ნაწერი გამართულია; სტუდენტს დაშვებული აქვს ერთი ან ორი უმნიშვნელო შეცდომა; 3 ქულა - შინაარსი დამაკმაყოფილებლადაა გადმოცემული; სტილისტურად ნაწერი ნაკლებ გამართულია; სტუდენტს დაშვებული აქვს ორი ან სამი უმნიშვნელო შეცდომა; 2 ქულა - შინაარსი დამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი; ნაწერი სტილისტურად გაუმართავია; სტუდენტს დაშვებული აქვს სამი ან ოთხი შეცდომა; 1 ქულა - შინაარსი ბუნდოვანია; სტილისტურად ნაწერი არ არის გამართული; სტუდენტს დაშვებული აქვს ოთხი ან ხუთი შეცდომა; **ზეპირი შემოწმებისას** (რაც ფასდება 10 ქულით), სტუდენტი მოისმენს ტექსტს და უპასუხებს მის შესახებ დასმულ 10 კითხვას. ზეპირი შემოწმების კრიტერიუმებია: **2 ქულა:** პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია დაცულია. **1.5 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. ტერმინოლოგია დაცულია, მაგრამ აღენიშნება მცირედი შეცდომები. **1 ქულა:** პასუხი არასრულია. საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული. ტერმინოლოგია ნაკლოვანია. **0.5 ქულა:** პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარი. აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. **0 ქულა:** პასუხი არსებითად მცდარია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული. გადმოცემულია საკითხის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. აღენიშნება შეცდომები. **დადებით შეფასებად ითვლება 16 ქულა და მეტი.** **დასკვნითი გამოცდის ჩაბარება არის სავალდებულო.**
ძირითადი ლიტერატურა	1. ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, შემსწავლელის წიგნი, თბილისი, 2014.

	2. ნანა შავთვალაძე, ნინო შარაშენიძე, „აღმართი“ A2, სავარჯიშოების რვეული, თბილისი, 2014. 3. თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ A2+, შემსწავლელის წიგნი, თბილისი, 2016. 4. თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ A2+, სავარჯიშოების რვეული, თბილისი, 2016. 5. თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, შემსწავლელის წიგნი, თბილისი, 2015 6. თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე, „აღმართი“ B 1, სავარჯიშოების რვეული, თბილისი, 2015.
დამხმარე ლიტერატურა	1. შავთვალაძე, ნანა. 2008. *ბილიკი,* წიგნი მეორე. თბილისი: გამომცემლობა „ლეგა“ (თანდართული აუდიო დისკით). 2. გეგუჩაძე, ლეილა. 2004. *ქართული ენა უცხოელთათვის, მოკლე გრამატიკა ტექსტებითა და ლექსიკონით.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1. Danelia, Nana. 2010. *Basic Georgian.* Tbilisi: Publishing House “Universal”. 2. აფრიდონიძე, შუქია. 2010. *ჩვენი ენა ქართული.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 3. შარაშენიძე, ნინო. 2007. *ქართული ენის კომუნიკაციური გრამატიკა,* თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“. 4. დამატებით გამოყენებული იქნება ინტერნეტ-რესურსები, აუდიო და ვიდეო მასალა.